

ნანა დოლიძე

ასოცირებული პროფესორი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კინომცოდნე, ჟურნალისტი. 1991 წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი კინომცოდნეობის განხრით, ამავე წელს დაამთავრა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ჟურნალისტის კვალიფიკაცია. 1996 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების ევრანიზაციის პრობლემისათვის ქართულ კინოში. 1991 წლიდან მუშაობს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დღემდე ეწევა სამეცნიერო კვლევით და პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში სკოლებში ხელოვნების კურსის შემოღების მეთოდოლოგიური კვლევის ჯგუფის მეცნიერი, ქართული კინოს ენციკლოპედიის მიზნობრივ ჯგუფში მეცნიერ-თანამშრომელი. 1992-97 წლებში საქართველოს კულტურის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებათა სამმართველოს ექსპერტ-მრჩეველი, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის I არხზე და ტელეკომპანია რუსთავი 2-ში, 2000 წლიდან დღემდე არის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.

2008 წლიდან საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ტელემედიის სამაგისტრო პროგრამას, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, არის წიგნის „კინო და კლასიკური ლიტერატურა“ ავტორი, დამხმარე სახელმძღვანელოს „ქართველი კინორეჟისორების“ თანაავტორი. კითხულობს დისციპლინებს: მასობრივი კომუნიკაციის შესავალი, ტელევიზიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, სატელევიზიო კრიტიკა, მედიატექსტის ანალიზის მეთოდები, კინო და ტელევიზია, უცხოური და ქართული ტელემედია, ტელევიზია და მასობრივი აუდიტორია.